პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 2 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

172 (870) | 1 და 2 ქართული მშრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსხენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის ალმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის

**ალმასკომის პლენუმის სხდომა.**

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. მოხსენება საამშენებლო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოება „სამშენი"-ს ორგანიზაციის შესახებ.
2. მოხსენება ზაჰესკომისთვის ხარჯთ-აღრიცხვაში გაუთვალისწინებელ დამატებითი ხარჯების შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

## ძვირად დაუჯდება საფრანგეთის მტაცებლებს მაროკოს ავანტიურა.

საფრანგეთის იმპერიალისტებს ეგონათ, რომ ისინი ერთის მოსმით დაამარცხებდენ რიფებს და დაიმორჩილებდნენ მათ. მაგრამ სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. რიფები მედგრად დაუხვდენ უცხოელ მძარცველებს. როგორც ერთი ისინი აღსდგენ თავის დამოუკიდებლობის დასაცავად და მტკიცედ შეუტიენ გათავხედებულ იმპერიალისტებს. მიუხედავათ საფრანგეთის ჯარის სიმრავლისა და მის კარგად შეიარაღებისა, რიფები ღირსეული მოწინააღმდეგენი აღმოჩნდენ.

მათ ბევრი სასტიკი დამარცხება აგემეს საფრანგეთის ჯარს. არ მოელოდენ ასეთ შედეგებს საფრანგეთის მტაცებლები.

მათი განზრახვა ერთი მოქნევით გაენადგურებიათ რიფების რესპუბლიკა არ გამართლდა. საჭირო გახდა უფრო სერიოზული და ხანგრძლივი ომის წარმოება. ამრიგად საფრანგეთის იმპერიალიზმის უნებურათ რიფებთან ბრძოლა მთელი იმპერიალისტურ ომად გარდაიქცა. ეს ომი მისგან მოითხოვს აუარება ხარჯებს და ასი ათასი ჯარისკაცის გამოყვანას ბრძოლის ველზე. და ეს იმ დროს, როცა საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება, როცა გასული იმპერიალისტური ომის ჭრილობები ჯერ კიდევ საშინლად სტანჯავენ საფრანგეთის მშრომელთა მასებს.

საფრანგეთის იმპერიალიზმის მორიგ ავანტიურის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა კომუნისტურ პარტიამ.

მან მზის სინათლეზე გამოიტანა საფრანგეთის ბურჟუაზიის მთელი ყაჩაღური დაპყრობითი გეგმები და ნიღაბი ჩამოხადა მათ სისხლიან ავანტიურას.

კომპარტიასთან ერთად ამ ავანტიურამ აღშფოთებაში მოიყვანა საფრანგეთის მშრომელთა მასები, რომლებიც წინააღმდეგი არიან ომის. არც ჯარში აქვს საფრანგეთის ხელისუფლებას კარგად საქმე. რაფებთან ბრძოლების დროს იყო შემთხვევა, რომ მთელი რიგი ჯარის კაცების გადადიოდნენ მოწინააღმდეგის მხარეზე.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არც შიგნით და არც გარედან საფრანგეთის იმპერიალიზმს არ აქვს ხელსაყრელი პირობები ამ ავანტიურის წარმატებით დასაბოლავებლად ის მაინც განაგრძობს თავისას.

მით უარესი მისთვის.

აბ-დელ-ქერიმის დამარცხება არც ისე ადვილია.

მიუვალი მთები და რიფების იშვიათი ერთსულოვნება შეუძლებელს ხდიან მათ ადვილად დამარცხებას.

ომის გახანგრძლივება კი უფრო გააუარესებს საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობას და მძიმე ლოდივით დააწვება მშრომელ მასებს.

საფრანგეთის მტაცებლები თავისი ავანტიურით თვით უთხრიან თავის ბატონობას ძირს. ეს ავანტიურა მათ არსებობის ფასად დაუჯდებათ.

## იტალიის ფლოტის მანევრები.

აგვისტოს განმავლობაში იტალიის საზღვაო სამინისტრო მოაწყობს დიდ მანევრებს ხმელთა შუა ზღვაზე.

მანევრებში მონაწილეობას მიიღებს 106 საზღვაო ერთეული, 59 ჰიდროპლანი, და სამი საჰაერო ხომალდი.

# ახალი რადიო-ამბები

## მუშათა დელეგაცია დონის ბასეინში.

გერმანიის დელეგაციამ დაათვალიერა არტემოვსკაში ფაბრიკა-ქარხნების მთელი რიგი.

საუბრებში გერმანიის დელეგატები გამოსთქვამენ გაკვირვებას საბჭოთა მრეწველობის ჩქარი ტემპით გაძლიერების გამო.

რურის მუშა დელეგატმა მარემ აღნიშნა, რომ კონსტანტინოვის ქარხნები ერთხელ კიდევ ამტკიცებს დელეგაციის შეხედულებას, რომ საბჭოთა კავშირმა დიდი მიღწევები გააკეთა ქვეყნის აღორძინების საქმეში.

## კონფლიქტის შესახებ ინგლისის ნახშირის სამრეწველოებში.

ბალდუინმა მიიღო მუშათა და მეპატრონეთა წარმომადგენლები. მუშები თანახმა არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიაში, რომელმაც უნდა გამოარკიოს მრეწველობის გაჯანსაღების გზები ბალდუინმა მიმართა მაღაროს პატრონებს გადასდონ ლოკაუტი ორი კვირით და დაიწყონ მოლაპარაკება ქვანახშირის სამრეწველოს დახმარების ფორმათა შესახებ.

ამ ცნობის შესახებ პრესა აცხადებს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა და კონფლიქტის გადაჭრა სავსებით შესაძლებელიაო.

## შეწყდა ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება ვალების შესახებ.

შეწყდა მოლაპარაკება ინგლისსა და საფრანგეთს შორის სამხედრო ვალების შესახებ. ინგლისი მოითხოვდა 20-20 მილიონი ვალის გადახდას საფრანგეთისაგან წლიურად. ფრანგები კი თანახმა იყვნენ აღნიშნულ თანხის ერთი მესამედის გადახდისა წლიურად.

## ქვანახშირის სამრეწველოების მუშათა გაფიცვები გერმანიაში.

საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებულ საარის ოლქში გრძელდება საყოველთაო გაფიცვები.

გაფიცულია 74 ათასი მუშა. მუშები მოითხოვენ 5 პროც. მომატებას, გაფიცულები მტკიცე პოზიციაზე დგანან.

## ქ. ესსენი დასცალეს საოკუპაციო ჯარებმა.

21 ივლის ფრანგების საოკუპაციო ჯარების უკანასკნელი რაზმები გავიდენ ესსენიდან (გერმანიაში).

## შიმშილობა ბესარაბიაში.

შიმშილობის გამო, რომელმაც მოიცვა ბესარაბიის უდიდესი ნაწილი, შემდგარია კომისია მხარის სანიტარულ გამოკვლევის მიზნით.

გაზეთ „ლუპტა-"ს ცნობით კომისიის მიერ გამორკვეულია ბესარაბიის სხვა და სხვა ნაწილებში გავრცელებულ ეპიდემიის—ცინგას შემაძრწუნებელი შედეგები.

შიმშილობისა და ეპიდემიის ნიადაგზე ძლიერ გაიზარდა თვითმკვლელობის შემთხვევები.

ტასკარანის, კორნეშტის და ფელლეშტის რაიონებში და აგრეთვე ბელცის ოლქში მოსახლეობა იკვებება მხოლოდ სიმინდით.

## გერმანიის მუშათა დელეგაცია მალე ჩამოვა საქართველოში.

საქართველოში მომავალ გერმანიის დელეგაციის ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით 28 ივლისს როსტოვიდან გაემგზავრა გროზნაში და ბაქოში, საიდანაც ჩამოვა ტფილისში და ესტუმრება ბათომს, ჭიათურას და ბორჯომს.



დელეგაციის თავმჯდომარე განს ბეკ.



დელეგაციის წევრი ბენიევიც.

**დელეგაციის შემადგენლობა.**

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან:

1. ჰანს ბეკ—თავმჯდომარე მელითონე—კომუნისტი.
2. ვალგეფერ—რკინისგზელი—სოციალ-დემოკრატი.
3. ჰორნ—მეტყავე—სოციალ-დემოკრატი.
4. ბულჰოლც—ტრანსპორტელი—სოც.-დემოკრატი.
5. შტერ—მელითონე—კომუნისტი.
6. ბერ—მბეჭდავი—სოც.—დემოკრატი.
7. ლიუტიხ—მელითონე—კომუნისტი.
8. მელე—ხეზე მომუშავე—სოც.-დემოკრატი.
9. ბაურფანდ—მეტყავე—სოც.-დემოკრატი.
10. ეშენგორგ—მელითონე-სოც.-დემოკრატი.
11. ბროდე—საამშენებლო დარგის მუშა—კომუნისტი.
12. ბერკერ—მეტყავე-სოც.-დემოკრატი.
13. ბერნჰოლდ—მელითონე—სოც.-დემოკრატი.
14. პიშოტა—მელითონე—უპარტიო.
15. ბრეიტაგ—მელითონე—სოც.-დემოკრატი.
16. ბენივიც—რკინისგზელი—სოც.-დემოკრატი.
17. რიხტერ—მელითონე—კომუნისტი.
18. ობერენდერ—ფეიქარი—სოც.-დემოკრატი.
19. კიუპერ—მელითონე—უპარტიო.
20. მენერტ—მელითონე—სოც.-დემოკრატი.

ამრიგათ, დელეგაციაში შედის 5 კომუნისტი, 13 ს-დემ. 2 უპარტიო.

## მაროკოში.

ჰავასის სააგენტოს ცნობის თანახმად უერგის ფრონტზე რამოდენიმე აჯანყებულმა ტომმა დაიწყო მოლაპარაკება დამორჩილების შესახებ. რიფების მსხვერპლი უკანასკნელ შეტაკებებში მნიშვნელოვანია.

## აბდ-ელ-ქერიმი დროს ელოდება.

მაროკოში მყოფ ფრანგების ჯარებს ჯერ არ მიუღწევიათ კიდევ აბდ-ელ-ქერიმის რეგულიარულ ჯარებამდი და ჯერ-ჯერობით აწყნარებენ ცალკე ტომებს.

აბდ-ელ-ქერიმს ჰყავს არანაკლებ 25 ათასიან კარგად შეიარაღებულ ჯარისა და სცდილობს როგორმე შეაჩეროს საფრანგეთის ჯარების წინსვლა ოქტომბრამდი, როცა დაიწყება ძლიერი წვიმების პერიოდი და შეუძლებელს გახდის ფრანგების წინსვლას.

აბდ-ელ-ქერიმს განზრახული აქვს გამოიყენოს ამ დროსთვის მთავარი ძალები.

ესპანელები ჯერ-ჯერობით დროს უცდიან.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე

**28 ივლისის საღამოს სხდომა.**

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. ნიკოლოზ ოკუჯავას სიტყვა.

(დასასრული)

**როგორ აპირებდენ ფულის შოვნას.**

აქ ბრალმდებელი ეხება იმას თუ რა გზით აპირობდა პარიტეტული კომიტეტი აჯანყების მოწყობისათვის საჭირო ფულის შეძენას. საზღვარ გარეთიდან დახმარების შემდეგ—ამბობს ის—ფულის წყარო იყო თავდასხმა და ძარცვა. აღსანიშნავია ერთი გარემოება, როცა პარიტეტის დამცემლეეი უარს ამბობენ სახაზინო ფულის გატაცებაზე. ოამცემლებს შორის არიან ძველი მომუშავეები, რომლებიც ასე ფიქრობენ: თუ ძველი მთავრობის დროს შეიძლებოდა მეფის ხაზინის გაცარცვა, დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. საბჭოთა მთავრობის ხაზინა—სახალხო ქონებაა. და ისინი თანხმთებიან მხოლოდ კერძო პირების გაძარცვაზე.

შემდეგ ბრალმდებელი ეხება ბუდუ მდივნისა და მახარაძის გატაცების მიზანს და ამბობს, რომ მათი გატაცების მიზანი იყო უზრუნველ ეყოთ აჯანყების მეთაურები, თუ ისინი საბჭოთა ხელისუფლებას ჩაუვარდებოდენ ხელში.

**ვისი იმედით მზადდებოდა აჯანყება.**

უმთავრესი ძალა—ამბობს, ბრალმდებელი—ეს იყო ამიერკავკასიის კავშირი. ამას გარდა როგორც საბუთებიდან და ჩვენებიდან სჩანს პარიტეტს უნდა მიეღო რეალური დახმარება საზღვარ გარეთიდან. მას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ თუ შინა ძალებით ორი-სამი კვირა გაუძელით, ჩვენ მოგვეშველება ჯარები საზღვარ გარეთიდანო. საბუთებში აშკარადაა ნათქვამი, რომ ინგლისი საფრანგეთი და ოსმალეთი გაუწევდენ მათ დახმარებას.

**სული სულს იცნობს.**

ბრალმდებელი ჩვენებების და საბუთების მიხედვით ამტკიცებს, რომ პარიტეტული კომიტეტი კავშირს იჭერს არა მარტო უცხო სახელმწიფოებთან, არამედ ნაციონალ-დემოკრატების საზღვარ გარეთელი ბიურო თეთრგვარდიელებსაც კი უახლოვდება. მოჰყავს ვეშაპელის წერილი თეთრგვარდიელების გაზეთში, მისივე მოლაპარაკება თავად კირილესთან და სპირიდონ კედიის კავშირი მანარქისტებთან.

ამ კავშირმა—ამბობს ბრალმდებელი-ცოტათი შეაწუხა მენშევიკები და შეაწუხა მხოლოდ იმით, რომ ის გამომჟღავნდა, მაგრამ მეორეს მხრივ ისინი დაინტერესებული არიან ამ კავშირით და სცდილობენ ის არ გაწყდეს.

**საზღვარგარეთს არც აჯანყებამდი რჩებოდენ ვალად.**

როგორც ნარიკელაძისა და მუსხელიშვილის ჩვენებებიდან ვიცით—ამბობს ბრალმდებელი—პარიტეტულ კომიტეტთან არსებობდა კონტრდაზვერვის აპარატი. ყველა დაწესებულებები მოდებული იყო შპიონაჟის ქსელით. ეს აპარატი მოწყობილი ჰქონდა ჯერ ხომერიკს და შემდეგ გოგიტა ფაღავას. ამ რიგად კონტრდაზვერვა და შპიონაჟი სწარმოებდა და ცნობები მიდიოდა საზღვარ გარედ. არის საბუთებში ცნობები იმის შესახებ, რომ ანდრონიკაშვილმა სამხედრო ცნობები უშუალოდ გადასცა მაკ-ნეილს.

შემდეგ ბრალმდებელი ლაპარაკობს იმაზე, თუ ვინ და როგორ მუშაობას აწარმოებდა სენაკის მაზრაში აჯანყებისთვის.

**„გაუმარჯოს ქრისტიანებს“**

სენაკის მაზრაში—აცხადებს ბრალმდებელი—პარიტეტს იმედი ჰქონდა 2.000 კაცს გამოვიყვანთო. მაგრამ მოტყუვდა. როცა აჯანყების დრო დადგა, ეკლესიის გალავანში თავი მოიყარა 17 კაცმა. მეორე დღეს ხალხი იყრის თავსო, ამბობდენ. რათქმა უნდა სროლაზე ხალხი მოვიდა—ქალები, კაცები, ამბების გასაგებად. ეს იყო შეთქმულება ერთი ჯგუფის. ისინი გაიძახოდენ: „გაუმარჯოს ქრისტიანებს“, გაუმარჯოს კერძო საკუთრებას“, „ძირს ოკუპაცია“ და სხვა! ცხადია ვერაფერი ვერ ამტკიცებს იმას, რომ გამოსვლა იყო ხალხური.

**რა ხდება ზუგდიდის მაზრაში.**

ზუგდიდის მაზრაში—ამბობს ბრალმდებელი—ბრძოლა უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. აჯანყებულები და კომუნარები აქ ერთმანეთს ებრძვიან. აჯანყების ხელმძღვანელები ავრცელებენ ჭორებს, ქალაქები აღებულია, მთავრობა ჩამოვაგდეთო და უკითხავენ ყალბ დეპეშებს ხალხს და ატყუილებენ მეგრელ გლეხობას. მაგრამ მალე იქაც მარცხდებიან.

**ვინ გამოვიდა იარაღით ხელში.**

ამ გვარად დამარცხდა აჯანყება სამეგრელოში, დამარცხდა გურიაშიც. ეს აჯანყება არ იყო ხალხური. ეს იყო შეთქმულება, რომელსაც აწყობდენ რამოდენიმე წლის განმავლობაში. მაგრამ არ მინდა აქ რაიმე გაუგებრობა დარჩეს. იმ ხალხში და რაზმებში, რომლებიც ორ დღეს მხარს უჭერდა აჯანყებას, იყო, როგორც სამღვდელოება და თავადაზნაურობა, ისე გლეხობაც, მაგრამ ისინი მოატყუეს. შესაძლებელია აქა-იქ გლეხობა იყო ამ ხელისუფლების უმადური. აჯანყებულები კი სარგებლობდენ ამ მტკივანი ადგილით და აღვივებდენ უკმაყოფილოებას. რაც შეეხება გურიას, აქ აჯანყებამ უფრო ფართე ხასიათი მიიღო იმიტომ, რომ მასში უფრო ძლიერი იყო მენშევიკების ძველი ტრადიცია და ავტორიტეტი.

**არც ქუთაისის მაზრა რჩება უკან სხვებს.**

ბრალმდებელი ეხება ქუთაისის მაზრის გამოსვლებს, ახასიათებს იმ პირებს, თუ ვისი საშუალებით სცდილობდა პარიტეტული კომიტეტი აჯანყების მოწყობას.

საგულისხმოა ერთი გარემოება—ამბობს ბრალმდებელი—როცა ყოფილმა აფიცერმა კიკნაძემ თავის რაზმით აიღო ბაღდადის გამოსვლების დროს ძალაუფლება, ის მოუბრუნდა იქ მყოფ მენშევიკებს და უთხრა: „მოისწყდით თავს თქვე სოციალისტებო, თორემ თქვენც მიგაყოლებთ იმათ, ვინც დღეს ჩამოვაგდეთო“. აი ასეთი „რევოლიუციონური“ აჯანყება იყო მოწყობილი პარიტეტული კომიტეტის მიერ.

შემდეგ ბრალმდებელი ეხება იმას, როგორ დამარცხდა პარიტეტის გეგმა აღმოსავლეთ საქართველოში, აჭარისტანში, თუ როგორ უღალატა ბანდიტ ლაშქარაშვილმა მას, ლაპარაკობს აგრეთვე იმაზე თუ რომელ პარტიამ რა წვლილი შეიტანა აჯანყების საქმეში და აცხადებს: აჯანყება ფაქტია. უდავოა უცხო სახელმწიფოების დახმარება, ინტერვენცია. დამტკიცებულია ჯაშუშობა. აგრეთვე ტერორის დამამტკიცებელი ფაქტიც ბევრია. ამით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ და უნდა მიუზღოს ამა თუ იმ პიროვნებას სათანადო სასჯელი.

**ვინ რა სასჯელის ღირსია.**

დასასრულ სახელმწიფო ბრალმდებელმა, ამხ. ოკუჯავამ კონკრეტული ბრალდება წაუყენა თვითეულ დამნაშავეთაგანს. ბრალდებულ ანდრონიკაშვილს, ონიაშვილს, ჯინორიას ხურციძეს, იასონ ჯავახიშვილს, ავალიშვილს, გიორგაძეს, იმნაიშვილს, ნინიძეს, დადიანს, რცხილაძეს, ბელთაძეს, კახიანს, იოსელიანს, ძაძამიას, ხოფერიას, ბიძინა პირველს, გეგეჭკორს, ბოკერიას, ჩხაიძეს, გ გოლიშვილს, კონსტ. ლორთქიფანიძეს და ბახტაძეს წარუდგინა საბრალმდებლო დასკვნაში მოყვანილი სისხლის სამართლის კოდექსის ყველა მუხლებში გათვალისწინებული ბრალდება.

ბრალდებულ ქარცივაძეს, ბილანიშვილს, ნაკაშიძეს, ანჯაფარიძეს, აკაკი კალანდარიშვილს, ლატარიას, ფიჩხაიას, ესვანჯიას, შალვა კალანდარიშვილს, ბერიძეს, თვალთვაძეს, მამალაძეს, შენგელიას, ლაშხიას, გაბლიანს, კვირიკაძეს, ივანე ლორთქიფანიძეს, ჭანიშვილს და წაცვლიშვილს, ზოგიერთი მუხლები მოხსნა.

ამხ. ოკუჯავამ სავსებით უარი განაცხადა ფანოზაშვილის ბრალდებაზე, ხოლო ბრალდებულ ონიაშვილის მიმართ ითხოვა სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის ძალით სასჯელის შემსუბუქება.

დასასრულ სახელმწ. ბრალმდებელმა შემდეგნაირათ დაამთავრა თავისი სიტყვა: რაც შეეხება სასჯელის ზომას მოსამართლენო, თქვენს წინაშე უკვე გამოირკვა საქმის ვითარება. დამტკიცებული არის დანაშაული ყოველივე პიროვნების, რომელიც აქ საბრალმდებლო სკამზე ზის. სასამართლო, რასაკვირველია, იხელმძღვანელებს სისხ. სამ. მე-5 მუხლით და იქონიებს რა მხედველობაში, რათა დაიცვას მუშურ-გლეხური სახელმწიფო ყოველივე მავნე ელემენტებისაგან, მისცემს ყოველივე მათგანს სათანადო სასჯელს.

ჩემის მხრივ წინადადებას ვიძლევი ანდრონიკაშვილზე, ჯინორიაზე, ჯავახიშვილზე, ბოჭორიშვილზე, ცინცაძეზე, კახიანზე, იმხნელზე და პირველზე მიყენებული იქნეს უსათუოდ უმაღლესი ზომა სასჯელის. რაც შეეხება ონიაშვილს, მე მინდა აქ სასამართლოს გავახსენო 28 მუხლი სისხ. სამ. კოდექსისა და ვსთხოვო მთელი სიგრძე-სიგანით მიუდგეს ონიაშვილის მოქმედების გათვალისწინებას. დანარჩენების შესახებ სასამართლო იხელმძღვანელებს იმ მუხლებით, რომლითაც არის გათვალისწინებული მათი ქმედობა და უზენაესი სასამართლო ყოველ მათგანს კუთვნილ სასჯელს მიუსჯის.

# ბულგარეთის კომპარტიის სამხედრო ორგანიზაციის საქმე.

ბულგარეთის კომპარტიის სამხედრო ორგანიზაციის პროცესზე პროკურორმა განაცხადა, რომ სტამბულინსკის მთავრობამ შესაძლებელი გახადა კომუნისტური პროპაგანდა, რომელიც კომპარტიის საიდუმლო კონგრესის შემდეგ, რომელზედაც ვითომცა მიღებულ იყო კომინტერნის ინსტრუქციები, გახდა მეტად აგრესიული.

პროკურორმა განაცხადა, რომ კომპარტიის სამხედრო და ტერორისტული სექციები მოეწყო ამ კონგრესის შემდეგ.

შემდეგ ის აღწერს იმ ურთიერთობას, რომელიც ვითომდა არსებობდა სამხედრო ორგანიზაციასა და კომპარტიის არალეგალურ ცეკას შორის და ბრალდებულების როლს ამ ორგანიზაციებში.

# „წესრიგის“ დარღვევისთვის.

საბერძნეთის ერთ ციხეში სცემეს პატიმარ კომუნისტებს. ამ მოქმედებას ამა თუ იმ ფორმით ჰგმობს თითქმის მთელი საბერძნეთის პრესა.

კომპარტიის ორგანო „რიროსპარტისი“, რომელიც აქვეყნებდა დაწვრილებითი ცნობებს, დაკავებულ იქნა. დააპატიმრეს სამი რედაქტორი სახელმწიფოს თავდაცვის შესახებ დეკრეტის დარღვევისთვის.

# სამხედრო საქმე

## ქვეითი ჯარისა და არტილერიის შეერთებული საბრძოლო მოქმედება.

არტილერიის უპირატესობა მდგომარეობს ცეცხლის სიშორეში, სიძლიერეში და განმანადგურებელ თვისებაში. მაგ. მტერი შორსაა, ტყვიით მისი დაზიანება შეუძლებელია; აქ შეუძლია იმოქმედოს არტილერიამ თავისი განმანადგურებელი ყუმბარებით; ჩვენი ქვეითი გადაელობა დაუძლევ დაბრკოლებას, ვსთქვათ მტრის ტყვიამფრქვევის ან არტილერიის ცეცხლს.

ამ ცეცხლის დაძლევა ქვეითა ჯარს არ შეუძლია თავისი ძალებით. მას ეხმარება არტილერია, რომელიც თავისი მარჯვე ცეცხლით—ყუმბარებით ანადგურებს მტრის ქვემეხებსა და ტყვიამფრქვევებს ან ყოველ შემთხვევაში ჩააჩუმებს მათ. ამით ის საშუალებას აძლევს ქვეითა ჯარს წინ წაიწიოს, ან, როგორც იტყვიან „არტილერია გზას უკაფავს ქვეითა ჯარს“.

მტრის გამაგრებულ პოზიციაზე იერიშის დროს ქვეითა ჯარს უხდება წინსვლა ძლიერი ცეცხლის ქვეშ და ხელოვნურ დაბრკოლებათა გადალახვა. აქ უარტილერიოთ შეუძლებელია რაიმეს გახდე.

პირველ ყოვლისა არტილერია ანგრევს თავისი ყუმბარებით ხელოვნურ დაბრკოლებებს და აკეთებს მათ შორის გასავალს.

შემდეგ როცა გასავალი მზადაა, ის მიმართავს თავის ცეცხლს მტრის პოზიციებზე და არ აძლევს მას საშუალებას არამც თუ სროლის, არამედ თავიც რომ ამოჰყოს სანგრებიდან; იმავე დროს არტილერიის ნაწილი მიმართავს თავის ცეცხლს მტრის ზურგისკენ და ამით ხელს უშლის მას რეზერვის მოყვანაში.

ერთი სიტყვით არტილერია ჰქმნის ერთგვარ ცეცხლის ფარს, რომლის გამო უზრუნველყოფილი წინ მიიწევს ჩვენი ქვეითი ჯარი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არტილერიას არ შეუძლია განუწყვეტლივი სროლა, ვინაიდან ჭურვების მიზიდვა მასთან ბრძოლის დროს მეტად ძნელია.

ამიტომ ქვეითა ჯარმა დრო არ უნდა დაჰკარგოს და საჩქაროდ უნდა წაიწიოს წინ.

არტილერიას არ შეუძლია სრულიად გაანადგუროს ყველა დაბრკოლება და მტრის ცოცხალი ძალა. ჩვეულებრივად მანევრულ ბრძოლაში არტილერიის მიზანია ჩარეკოს მტერი თავის სანგრებში და თავშესაფარში და მით შეაჩეროს მისი ცეცხლი.

ამით უნდა ისარგებლოს ჩვენმა ქვეითა ჯარმა, მიუახლოვდეს მტერს და ეკვეთოს ხიშტებით.

მაგრამ განსაკუთრებით ძნელი მდგომარეობა აქვს ქვეითა ჯარს მაშინ, როცა მას უხდება მტრის პოზიციებზე მივარდნა.

ამ დროს ჩვეულებრივად ქვეითი ჯარი ვერ არის მწყობრად, ნაწილები არეულია, რეზერვები შორსაა. აი განსაკუთრებით აქ არის საჭირო არტილერიის დახმარება, რომელმაც საჩქაროდ უნდა გადაიტანოს თავისი ცეცხლი მტრის ზურგში და საშუალება არ მისცეს მტრის რეზერვს მიეშველონ თავისიანებს.

რასაკვირველია ცხადია, რომ ქვეითი ჯარის და არტილერიის მოქმედების შესათანხმებლად საჭიროა მათ შორის მუდმივი კავშირი.

ამრიგად არტილერია თავისი ძლიერი ცეცხლით ეხმარება ქვეითა ჯარს დაბრკოლებათა დაძლევაში და ამით უადვილებს მ ს საბრძოლო ამოცანის ასრულებას.

ვ.

# მღელვარება საფრანგეთის ფლოტში.

საფრანგეთის პრესა მეტად შეფიქრიანებულია გაძლიერებული მღელვარებით ფლოტში და შიშობს რომ არ განმეორდეს 1919 წლის ამბები, რომელსაც ადგილი ჰქონდა შავ ზღვაზე (1919 წ. ოდესაში გადმოსხმულ ფრანგ მეზღვაურებმა უარი განაცხადეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე). ის სულიერი განწყობილება, რომლითაც შეპყრობილი არიან ფრანგი მეზღვაურები საუკეთესოდ ხასიათდება ერთ-ერთ ფრანგ მეზღვაურის წერილში, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „იუმანიტეში.“

აი რას სწერს ჯავშნოსან გემის „სტრასბურგი-“ს მეზღვაური:

„მეთაურთა შემადგენლობა ნერვიულობს. გამოძიებას და დასჯას არ უჩანს ბოლო. აფიცრებს ნაბრძანები აქვთ რაც არ უნდა იქნეს გამონახონ „შეთქმულები.“ მეზღვაურების წერილები იხსნება. ყოველ დღე ჩხრეკენ მეზღვაურებს. ჩვენ გვგონია, რომ ვიმყოფებით მცურავ ციხეში და არა გემზე.

როცა ჩვენი გემი მივიდა ტუნისში მთელი შემადგენლობა გადასხმულ იქნა ნაპირზე და კაპიტანის ბრძანებით დაპატიმრებულ იქნა 20 „ყველაზე უფრო საშიში შეთქმული.“ ყველა ეს ზომები გამოწვეული იყო იმით, რომ მეზღვაურებმა უკმაყოფილება განაცხადეს ცუდი კვებისა და უხეში მოპყრობის გამო.

ამ დაპატიმრებამ ჩვენში გამოიწვია ისეთი აღელვება, რომ უფროსებმა ზედმეტად ჩასთვალეს ჩვენი მონაწილეობა მაროკოს სანაპიროების ბლოკადაში და საჩქაროდ დაგვაბრუნეს საფრანგეთში.“

თითქმის ასეთივე ამბავი მოხდა გემ „კურბე-“ზე. განსაკუთრებით შეძრწუნდენ უფროსები, როცა გემზე გაჩნდა რევოლიუციონური გაზეთი „სპარტაკი,“ რომელიც მოუწოდებდა მეზღვაურებს არ დამორჩილებოდენ უფროსების ბრძანებას და მხარი დაეჭირათ თავისუფლებისათვის მებრძოლ რიგებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ ყველა მეზღვაურებს გახადეს ტანზე და გულმოდგინეთ გაჩხრიკეს, გაზეთის შემდგენელი მაინც ვერ აღმოაჩინეს.

კიდევ უარესი, მეორე დღეს ამ გაზეთის რამოდენიმე ცალი გაკრული იყო ყაზარმების კედლებზე. გაჯავრებულ აფიცრობამ მიმართა ახალ რეპრესიებს (დასჯას), მაგრამ ამან უფრო გააძლიერა უკმაყოფილება ჯარებში.

# ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

მე-6 ლეგ.

მე-3 ათასეულის და რუსის მე-64 ცხენოსან ლეგიონის წითელ არმიელები ერთ შენობაში არიან მოთავსებული.

თუმც ჩვენმა წითელმა არმიელებმა რუსული არ იციან, მაგრამ მეგობრული კავშირი მათ შორის კარგია.

ხშირად იმართება ჯგუფური საუბრები, ფეხბურთის თამაში ერთად და სხვა.

რუსის ესკადრონმა გამოუშვა კედლის გაზეთი № 1, სადაც დაუთმეს ჩვენს წერილებს ადგილი „ტერ-არმიელის კუთხე“, სადაც მოვათავსეთ ერთი წერილი და კარიკატურა. აგრეთვე ჩვენს კედლის გაზეთში № 3 დაუთმეთ ადგილი მათ წერილებს „მხედრის კუთხე“.

19 ივლისს ჩვენს კლუბში იქმნა დადგმული რუსულ-ქართულ ენაზედ წარმოდგენა.

წარმოდგენის დაწყებამდე მოხსენება გააკეთა ესკადრონის პოლიტხელმა რუსულ ენაზედ, რაც ქართულად იქნა გადათარგმნილი.

შემდეგ წარმოდგენილი იქნა რუსულ ენაზე ორ მოქმედებიანი პიესა და ქართულად ერთ მოქმედებიანი მხიარული ვოდევილი.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო, რომლის დიდ უმრავლესობას შეადგენდა გლეხობა. ყოველ წარმოდგენას ასე ესწრებიან. ყოველთვის წარმოდგენის დაწყებამდე კეთდება მოხსენებები სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

მომავალ კვირისთვის დრამწრე ამზადებს დასადგმელად „როს ნადიმობენ“ და ერთს მხიარულ კომედიას.

ჯან—ძე.

## ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

მე-5 ლეგიონი.

25 ივლისს შესდგა ლეგიონის ახლად არჩეული კლუბის გამგეობის კრება. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1. მუშაობის განაწილება გამგეობის წევრთა შორის და 2. ფასიანი საღამოს გამართვა კლუბის სასარგებლოდ. გამგეობის წევრთა შორის მოხდა შრომის განაწილება ამ რიგად: პოლიტხელ ლ. კალანდაძეს დაევალა პოლიტიკურ დარგში მუშაობა, ამხ. ამხ. გეორგობიანს და ბასილაიას—სამხედრო-სამეცნიერო და სპორტიული წრეში მუშაობა, წითელ არმიელებს ცხვირაშვილს და ქუთათელაძეს დაწყებითი მუშაობის გეგმის შედგენა.

ფასიანი საღამოს გამართვა კრებამ სასურველად აღიარა და დაავალა ამხანაგებს მისი მოსაწყობად სამზადისის შედგომას. იმედია ახლად არჩეული ამხანაგები გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს.

სამხკორი კოლო.

## ᲛᲠᲔᲪᲮᲐᲕ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲨᲔᲣᲛᲡᲣᲑᲣᲥᲓᲔᲡ!

მე 5 ლეგიონი.

მე-5 ლეგიონის სამრეცხველოში მსახურობს ორი მრეცხავი ქალი. ეს ქალები მთელი დღის განმავლობაში დაუღალავად მუშაობენ. მათმა კლავებმა არ იციან დასვენება. დღემდი ისინი უმკლავდებოდენ მუშაობას, მაგრამ ლეგიონის ცვალებადელებით შევსების შემდეგ მათ ძალიან უჭირთ ყველა საცვლების გარეცხა. საჭიროა სამრეცხველოში აყვანილ იქნეს კიდევ ორი მრეცხავი ქალი. ამასთან არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავსტოვოთ ერთი გარემოებაც. ამ ქალებს თვეში ეძლევათ თორმეტი მანეთი. ეს ძალიან მცირე ჯილდოა ასეთი შრომისათვის, როგორსაც ეს ქალები აწარმოებენ.

სამხკორი წ. ა. რუსპირელი.

## ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲜ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲘᲙᲐᲚᲘᲝ.

(პასუხათ ამხ. ვ. ბალათურიას.

გაზეთ „წით. არმიელის“ ა. წ. 25 ივლისს № 166-ში თქვენ მიერ იყო მოთავსებული წერილი სათაურით „ჩვენი საქმიანობა“, სადაც თქვენ, ეხებით საბიბლიოთეკო დარგს თქვენს ათასეულში. რომ მკითხველი არ შევიდეს შეცდომაში, საჭიროდ მიმაჩნია გიპასუხოთ თვენ სწერთ „საბიბლიოთეკო საქმე ცუდად არის.“ თქვენი ბიბლიოთეკის საქმე რომ ცუდად არის ეს არის თქვენივე ბრალი. და თქვენ ცდილობთ როგორც გეტყობათ, მოახვიოთ მიზეზი სხვა ვინმეს. ლეგიონის ბიბლიოთეკამ თქვენი ბიბლიოთეკის სათანადო ნიადაგზეა დასაყენებლად, ბიბლიოთეკიდან მოხსნა საუკეთესო ბიბლიოთეკარი და გადმოგიგზავნათ თქვენს განკარგულებაში.

იმის მაგიერ რომ თქვენ, როგორც პოლიტხელი, დახმარებოდით მას ბიბლიოთეკის საქმეების მოგვარებაში ის გადაიყვანეთ ათასეულის შტაბში გადამწერის თანამდებობაზე საქმეების მოსაგვარებლად.

მიუხედავათ მრავალჯერ მომართვებისა და თვით ბიურო კოლექტივის მდივნის ამხ. ნამგალაძის სიტყვიერი წინადადებისა, თქვენ ბიბლიოთეკარი მაინც არ გადმოიყვანეთ თავის ადგილზე, სანამ მე თვითონ არ ჩამოვედი. მე გეთანხმებით, რომ ბიბლიოთეკის საქმეს ვერ დააყენებდენ სათანადო ნიადაგზე ის ბიბლიოთეკრები, რომლებიც თქვენ გყავდათ, რადგან მათ არცერთმა ქართული არ იცოდა და ამიტომაც გადმოგიგზავნეთ სათანადოთ მომზადებული ბიბლიოთეკარი.

ივლისის დასაწყისში ჩამოვედი წიგნის კვირეულის ჩასატარებლათ. რომ კვირეული ჩამეტარებია 3-4 დღის განმავლობაში სათანადო ინსტრუქციის მიხედვით, ვერ შევძელი, რადგან კვირეულის ჩატარებასთან ერთად მომიხდა მუშაობა თქვენ მიერ გასაკეთებელი საქმეზე. წიგნის კვირეულის ჩატარებასთან ერთად ბევრი რამ გაკეთდა ბიბლიოთეკის მოწყობის მიზნით.

შემდეგ თქვენ სწერთ ბიბლიოთეკა ცარიელია. მართალი არ არის. ლეგბიბლიოთეკამ ყველა წიგნები, თანასწორად გაანაწილა ასეულებზე და თვითონაც იმავე შინაარსის და რაოდენობის წიგნები დაიტოვა.

მაგრამ თქვენი ბიბლიოთეკის ლიტერატურა დღეს სჯობია ლეგბიბლიოთეკას, რადგან მიცემული წიგნების გარდა მას შეუძენია სამაზრო ალმასკომიდან საუკეთესო წიგნები.

თუ თქვენ გინდათ ათასეულის ბიბლიოთეკა თავის სიმაღლეზე იდგეს, ბიბლიოთეკარს მიეცით მუშაობის საშვალება და ლეგბიბლიოთეკაც, როგორც აქამდის, გაგიწევთ სათანადო ხელმძღვანელობას.

დრ. ლეგბიბლიოთეკარი

მ. მეტრეველი.

## ᲠᲔᲛᲔᲓᲐᲡᲘᲡ ᲣᲯᲠᲔᲓᲘᲡ ᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲑᲐ.

მე-5 ლეგიონი.

ნე-3 ათასეულში არის „რემედასის“ უჯრედი, რომელიც არავითარ მუშაობას არ აწარმოებს. უჯრედის უმოქმედობაზე რამოდენიმეჯერ იყო მოთავსებული წერილი კედლის გაზეთში, მაგრამ მის ამოძრავებას მაინც არაფერი ეშველა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როდის დაიწყებს მუშაობას უჯრედი? ვღებულობთ მუდამ ერთი და იმავე პასუხს: „მალე“.

დროა გამოიღვიძოთ და ენერგიულად მოკიდოთ ხელი დავალებულ საქმის ასრულებას.

სამხკორი 121

## ᲡᲐᲛᲮᲙᲝᲠᲗᲐ ᲬᲠᲔ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ.

ცხენოსანი ლეგიონი.

საბანაკო პერიოდის მუშაობაში არც ჩვენი ლეგიონი ჩამორჩენია სხვა ლეგიონებს, მაგრამ ამის შესახებ არაფერი დაწერილა გაზეთში. ამის მიზეზი ის იყო, რომ ლეგიონში არ გვქონია ჩამოყალიბებული სამხკორთა წრე. ამ დღეებში ეს ნაკლიც გამოვასწორეთ. ლეგიონში დაარსდა სამხკორთა წრე. წრეში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ. წითელ არმიელები დიდის ხალისით ეკიდებიან ამ საქმეს. წრემ იმდენად დააინტერესა წითელ არმიელები, რომ ყოველ დღიურად ეწერებიან მსურველები. დივიზიის მაშტაბით არსებობს სამხკორთა სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. კვარცხავა.

სემინარში ყოველ შაბათობით სწარმოებს მეცადინეობა თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ პრესაში.

ამ საქმეს უკვე მიქცეული აქვს სათანადო ყურადღება და თუ დღემდის არ შუქდებოდა გაზეთში ჩვენი ლეგიონის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მომავალში ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება.

სამხკორი გავარდა.

# ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

## ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ 1-Ლ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ

ჩვენს ლეგიონში საკლუბო მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კლუბი უმთავრესათ მასიურ მუშაობას ეწევა. მართავს წარმოდგენებს, უშვებს კინოსურათებს და სხვა. ლეგიონში არსებულ ლენინის კარვებს ხელმძღვანელობს კლუბი. სისტემატიურად აწარმოებს ლენკარვებში მეცადინეობას წითელ არმიელთა შორის. ამ ბოლო დროს კლუბმა შემოიღო მუშაობის საწარმოებლად უფრო კარგი ხაზი: წრეების მეცადინეობა სწარმოებს ასეულების ლენ-კარვებში. ლეგიონის კლუბს მოწყობილი აქვს ლენინის მინდორი, სადაც წითელი არმიელები ეწევიან ჟურნალ-გაზეთების კითხვას; მინდორში მოწყობილია სხვა და სხვა სათამაშოები, გასართობები და მრავალ სხვა. კლუბს მოწყობილი აქვს სცენა, სადაც სისტემატიურად იმართება წარმოდგენები ლეგიონის დრამ-წრის მიერ. უმთავრესი ყურადღება ექცევა წრეების მუშაობას ლეგიონში. განუწყვეტელ მუშაობას ეწევა პოლიტ-წრე, ლიტ-წრე, დრამწრე, სამხკორთა წრე, მომღერალთა წრე, სარედაქციო კოლეგიის სემინარი, კოოპერაციის წრე და სხვა. ყოველივე წრეს კლუბის მიერ მიმაგრებული ყავს სათანადოთ მომზადებული ამხანაგები. ლეგიონის კლუბი და ბიურო კოლექტივი შეერთებულად სცემენ კედლის გაზეთს კვირაში ერთხელ. გაზეთში თანამშრომლობენ სამხკორები და წითელ არმიელები. კლუბი აგრეთვე აწყობს ექსკურსიებს სხვა და სხვა ადგილებზე. უნდა ითქვას, რომ კლუბის მუშაობამ ფრთები შეასხა ჩვენს ლეგიონს. ჩვენი კლუბის ცხოვრებაში ერთ არა სასურველ მოვლენას აქვს ადგილი: ხშირად ხდება კლუბის უფროსის გამოცვლა, რაც იწვევს მუშაობის შეფერხებას. იმედია უფპოლიტშემადგენლობაც დაუახლოვდება კლუბს და მიიღებს მონაწილეობას მის მუშაობაში.

ს. იმნაიშვილი.

## ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲡ ᲒᲕᲘᲨᲚᲘᲡ.

1 ლი ცალკე საკ. ასეული.

პირველი ცალკე საკავშირო ასეულის ბანაკის მახლობლად მოთავსებულია მესამე ლეგიონის უმწყობრო გუნდი და სასულე ორკესტრი. ორკესტრი მეცადინეობას აწარმოებს სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ ვატარებთ პოლიტსაათს, სანიტსაათს და სხვა, რაც ძალზე ხელს გვიშლის. ორკესტრის გრიალი არ გვაძლევს საშუალებას რიგიანად მოვისმინოთ საუბრები. საჭიროა ამ გარემოებას მიაქცევდენ ყურადღებას და ორკესტრის მეცადინეობას ცოტა ჩვენგან მოშორებით აწარმოებდენ.

სამხკორი კლდისძირელი.

## ᲞᲣᲠᲡ ᲪᲮᲝᲑᲐ ᲐᲙᲚᲘᲐ.

საარტ. ლეგიონი.

პირველად გვეძლეოდა წითელი პური, რითაც ძალიან კმაყოფილი ვიყავით. ამ უკანასკნელ ხანებში პურის ხარისხი გააუმჯობესეს. გვეძლევა წინანდელთან შედარებით უფრო თეთრი. პური გარედან შესახედათ თითქოს კარგადაა გამომცხვარი, მაგრამ რომ გასჭრით ერთიანად ცომია. რამოდენიმეჯერ ვაცნობეთ ამის შესახებ ვისაც საჭირო იყო, მაგრამ დღემდე ასეთ გამოუმცხვარ პურს ვღებულობთ. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და კარგათ გამომცხვარი პური გვირიგდებოდეს, თორემ ცომი პური დაავადმყოფებს წითელ არმიელებს.

სამხკორი ბაშელი.

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲚᲔᲜᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ.

მე 3 ლეგიონი.

მე-3 ქართულ მსრ. ლეგიონის სამთო ბატარეა ბანაკათ გასვლის დროს დროებით ჩამოშორდა თავის ლეგიონს. ბატარეა წავიდა საარტილერიო ბანაკ №-ში და დანარჩენი ნაწილი ლეგიონის კი ბანაკ №-ში. ორ თვეში წითელ არმიელებმა შეიძინეს ბევრი რამ.

ხშირმა ალლუმებმა და სროლაში ვარჯიშობამ შეავსო ჩვენი ცოდნა. 11 ივლისს ბატარეა დაბრუნდა ისევ ლეგიონში.

საარტილერიო ბანაკის მზისაგან დამწვარ წითელ არმიელებმა რაკი იგრძნეს №-ს მრავალფეროვანი ბუნების სილამაზე დაივიწყეს დაღლილობა და დიდის ხალისით შეუდგენ კარვების კეთებას და მის მოწყობას. ორ დღეში სუყველაფერი მზად იყო.

შემდეგ დაიწყო მეცადინეობა ყველა საგნებში. ერთი გვაწუხებს, რომ ბატარეას არა აქვს მოწყობილი თავის საკუთარი ლენინის კუთხე.

წითელ არმიელებს სხვა ასეულების ლენინის კუთხეებში უხდებათ სიარული გაზეთის წასაკითხავად.

იმედია ჩვენი ბატარეა ამ საკითხსაც მოაგვარებს ამ ცოტა ხანში.

სამხკორი დიდაქისრელი.

## ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲗ, ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

მე-3 ლეგიონი.

მე-3 ლეგიონის მე-9 ასეულის წითელ-არმიელების უმრავლესობა მუშების და გლეხების შვილებს შეადგენენ. ისინი ერთი სურვილით არიან გამსჭვალულნი, რათა შეიძინონ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა. პირველად ყაზარმაში მოსვლისას ძალიან გულგრილად ვეკიდებოდით სწავლის საქმეს, მაგრამ იმდენი შრომა გასწიეს მეთაურებმა, რომ ჩვენ შეგვაყვარეს მეცადინეობა.

ხშირად ვხდებით იმის მოწმე, რომ როცა ყველა ნაწილებში მეცადინეობა შეწყვეტილია და სხვა და სხვა სათამაშოებით ერთობიან, ამ დროს ჩვენს წითელ არმიელებს წიგნებში ჩაურგავთ თავები და გულმოდგინეთ მეცადინეობენ. ეს იმის თავდებია, რომ ისინი ცოდნით აღჭურვილნი დაუბრუნდებიან თავიანთ სოფლებს და დაეხმარებიან მათ კულტურულად და ეკონომიურად წინ წაწევის საქმეში.

გაუმარჯოს წითელ ჯარს, რომელიც ასე ზრუნავს ჩვენთვის.

წ. ა. ნიკ. ჭელიძე.

## ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ.

განმეორებითი პედაგოგიურ კურსებზე ირიცხება დაახლოებით 55 კაცი უფპოლიტშემადგენლობიდან.

კურსანტებს შორის არსებობს ნამდვილი ძმური კავშირი. პედაგოგიური კურსები დღემდი მიმაგრებული იყო არმიის პარტსკოლის უჯრედზე, მაგრამ ეხლა თვით კურსებზე იქნა ჩამოყალიბებული კომუჯრედი, რადგან, პარტსკოლა ოთხი აგვისტოდან მიდის აქედან.

ვუსურვოთ ახალგაზრდა კომუჯრედს ენერგიული მუშაობა.

ი. მელაძე.

# პარტიული ცხოვრება.

### მე-6 ლეგიონის № 4 კომუჯრედში.

№ 4 კომუჯრედის კრება იმართება სისტემატიურათ. მორიგი სხდომა შესდგა 24 ივლისს, რასაც დაესწრენ კომპარტ. წევრების, კანდიდატების და ა. ლ. კ. კ. წევრების უმრავლესობა. დღის წესრიგში სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის იდგა 1. საგლეხო მომგებიანი სესხი და 2. ინდივიდუალური მიმაგრება უპარტიო ამხანაგებზე. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებას ამხ. დ. ჭანტურიშვილი.

მან მოუწოდა ტერ-არმიელებს, რომლებიც დაუბრუნდებიან თავიანთ სოფლებს, რომ მორალურად ვალდებულნი არიან ისინი ხელისუფლების წინაშე გასწიონ ფართე აგიტაცია-პროპაგანდა ობლიგაციების შესაძენათ. საკითხის ირგვლივ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია. პარტამხანაგების ინდივიდუალურად უპარტიო ამხანაგებზე მიმაგრების შესახებ ილაპარაკა ამხ. ასათიანმა, რომელმაც გაგვაცნო მიმაგრების შინაარსი, რის შემდეგ პარტამხანაგები იქნა განაწილებული ათეულების მიხედვით უპარტიო ამხანაგებზე. იმედია ასე მიდგომა საკითხისადმი მოგვცემს მეტ შედეგს წითელ არმიელთა მასის შესწავლისათვის.

პარტკორი დავლომი

## კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

1-ლ ლეგიონის ბიურო კოლექტივს და უჯრედებს კავშირი აქვს ტყვეტრესტთან და სხვა.

ხშირად კეთდება მოხსენება ჩვენს უჯრედებში და პარტიულ კრებებზე ტყვეტრესტის კომუჯრედის მდივნის მიერ.

აგრეთვე ბიურო კოლექტივს კავშირი აქვს დილმის უჯრედთან. ტყვეტრესტიდან და სხვა სამოქალაქო უჯრედებიდან ესწრებიან, გარდა ლეგიონის პარტიულ კრებისა უჯრედების და ა. კ. კავშირის კრებებს, რამაც დაუახლოვა ჩვენი წითელი არმიელები მუშებს და მუშები წითელ ჯარს.

**პოლიტ-სათი კომპლექსიური მეთოდით.**

მას შემდეგ, რაც რომ ჩვენს ლეგიონში მოხდა წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია პოლიტ-საათი [სწარმოებს კომპლექსიური მეთოდით.

ლეგიონში არის სულ 40 ჯგუფი, რომლებზედაც მიმაგრებულია ორმოცი ხელმძღვანელი' სამხკომი და ბიურო კოლექტივი უწევენ მათ ხელმძღვანელობას და აძლევენ სათანადო დირექტივებს.

პოლიტ-საათისათვის სახელმძღვანელოები ქართულად ძალიან მცირეა, რაც იწვევს მეცადინეობის შეფერხებას. ჯგუფები დანაწილებულია მის და მიხედვით თუ როდის არიან გამოწვეული, მაგალითად, მაისის გამოწვეული ერთ ჯგუფში არიან, რომლებსაც ყავს ცალკე კომისია, "შემდეგ ოქტომბრის გამოწვეულებს მეორე კომისია და ესრეთ, ... მოწვეულებს კი მესამე კომისია. სულ ლეგიონში, გარდა უნტროს მეთაურთა სკოლისა, არის სამი კომისია. კომისია ხელმძღვანელობს თავთავიანთ ჯგუფებს, სწარმოებს კრებები და იმუშავება გეგმა. მაგრამ ესეც არ გვაკმაყოფილებს, რადგან ნაწილობრივათ არის დაბრკოლებები. იმის გამო, რომ ქართული სახელმძღვანელოები არ გვაქვს, პოლიტ-ხელმძღვანელს ან ჯგუფის ხელმძღვანელს მისი ჩატარება უხდება მშრალათ.

მეორედ ის გვიფერხებს საქმეს, რომ მეთაურებს არ აქვთ მოცლა.

საერთოდ პოლიტპარტმუშაობა ჩვენს ლეგიონში მტკიცედ სდგას და ნაყოფიერად მიმდინარეობს.

სამხკორი ხ. იმნაიშვილი.

## ახკომკავშირელთა შორის.

### ახ. ლ. კ. კავშირის მუშაობა.

#### 1-ლი საარტ-ლეგიონი.

21 ივლისს შესდგა ახ. ლ. კ. კავშირის ღია გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრენ როგორც ახ. ლ. კ. კავშირის და კომპარტიის წევრები, აგრეთვე მრავალი უპარტიო წითელ-არმიელები. დღის წესრიგში, სხვა საკითხებთა შორის, იყო დასმული ორი მეტად საინტერესო საკითხი. 1. მოხსენება სამხედრო დისციპლინისა და მის გატარებაში ახ. კ. კავშირის როლის შესახებ, 2. მოხსენება თვითმოქმედ ორგანიზაციების შესახებ. პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სამხკომი.

მომხსენებელი მოკლედ ეხება წითელი არმიის თანდათანობით განვითარების ისტორიას და სათანადოდ ასურათებს თუ როგორი მტკიცე და შეგნებული დისციპლინა წითელ-არმიაში საჭირო, რომ წითელმა-არმიამ პირნათლად შეასრულოს ყველა ის დავალებანი, რომელსაც მას აკისრებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ბოლოს თავის მოხსენებას ამხ. მომხსენებელი ასკვნის, რომ სამხედრო დისციპლინის დამცველ და ცხოვრებაში გამტარებლათ წითელ-ჯარში, უნდა გამოდიოდენ ახ. ლ. კ. კავშირის წევრები, რომლებიც უნდა იყვნენ ნამდვილი მაგალითის მაჩვენებელი უპარტიო წითელ-არმიელებისათვის.

მოხსენების კრება ღებულობს სახელმძღვანელოდ დისციპლინით მტკიცეთ დასაცავათ.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს საარტ-სკოლის პოლიტ-ლექტორი ამხ. მამალაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ყველა კუთხეებში არსებობს მთელი რიგი თვითმომქმედ ორგანიზაციებისა, როგორიც არის მაგალითად: „რეგმედას, "ის „ქიმიის" და „საჰაერო ფლოტის" დამხმარე საზოგადოებები. ხსენებულ საზოგადოებების წევრებათ ჩვენი საარტ-ლეგიონის წითელ-არმიელებიც არიან, მაგრამ ბევრმა მათგანმა არც კი იცის თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამ საზოგადოებებს.

ამ საკითხის შესახებ კრებას გამოაქვს დადგენილება, რომ ის შეეცდება ამ ორგანიზაციების პოპულიარიზაციას.

სამხკორი ბ. ცაგარეიშვილი.

# ნაწილების წერილებიდან.

### მიეცით საჭირო მასალა.

მე-6 ლეგიონში არის ფეხსაცმელების სახელოსნო, სადაც მუშაობს ოთხი მოხელე. სახელოსნოს ხშირად არ აქვს საჭირო მასალა, რის გამო ფეხსაცმელები შეუკეთებელი რჩება ან და დიდ ხანს გვიხდება ლოდინი მის შესაკეთებლად. მიაქციეთ ამას ყურადღება ვისაც ეს ეხება და მიეცით სახელოსნოს თავის დროზე მასალა.

სამხკორი სულორი.

### მივიღეთ ახალი ტანსაცმელი.

1-ლ ლეგიონის მეორე ასეულის წითელ არმიელებს ლეგიონში მოსვლისას დაგვირიგეს ნახმარი ტანსაცმელი და ფეხსაცმელები, რაც ძალიან გვაწუხებდა.

ეხლა დაგვირიგეს სუყველაფერი ახალი, რითაც ძალიან კმაყოფილნი ვართ.

ახალწვეული კ. მინდიაშვილი.

### აქაც საჭიროა სინათლე.

პირველ ლეგიონის მეორე ასეულის ფეხისადგილში ეს რამდენი ხანია სინათლე არ არის. ხშირად იქედან გამოსულებს „სასაცილო" მდგომარეობაში ვხედავთ. დადგით ერთი პატარა ლამპა.

სამხკორი მ.

### შეაკეთეთ აპარატი.

მე-5 ლეგიონს აქვს თავისი საკუთარი კინო-აპარატი. აპარატი გაფუჭებულია და მოითხოვს შეკეთებას. ამაზე კი ჯერ-ჯერობით არავინ ზრუნავს. შეაკეთეთ ის!

სამხკორი მეთვალყურე.

### ჩვენ რაღა დავაშავეთ?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულში ვართ ათი წითელი არმიელი წერა-კითხვის მცირე მცოდნე. ასეულში გვამეცადინებდენ დღეში ორ საათს და ხან მეტსაც, ბანაკში წასვლის შემდეგ კი სასკოლო მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ერთხელ და ისიც საღამოთი. ამ დროს კი სხვა ნაწილებში მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს ყოველ დღე.

ჩვენ რაღა დავაშავეთ?

წ. არ. ზოდაშნელი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ცეცხლი ქვაბის წყალში.

ინგლისელ ინჟენერ-ოსკარბრუნლერმა გამონახა ორთქლმავლის ქვაბის წყალში ცეცლის უშუალოდ შესაყვანი ხერხი.

ის უშვებს შექაჩვით ორთქლმავლის ქვაბის წყალში ჰაერისა და ნავთის ნარევს, რომელიც ისეთი სიძლიერით იწვის, რომ ანვითარებს ტემპერატურას 4.000 გრადუსამდი.

გამომგონებელი ირწმუნება, რომ სულ პატარა ქვაბს (90 X 140 კუბიკ. სანტიმ.), თუ იქნება გათბობილი ის ახალი ხერხის მიხედვით, შეუძლია განავითაროს ორთქლის ისეთი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნებოდა ორთქლმავლის გასარბენად ლონდონიდან გლაზგომდე (650 კილომეტრია) და უკანვე.

ახალი ხერხი მეტად გამოსადეგი იქნება ქიმიურ მრეწველობაში მაღალი კონცენტრაციის ნადნობებისა და მიწის ხელოვნურ საპატიებელ ნივთიერებათა მისაღებათ, როგორც სელიტრა და აზოტიანი კალცია.

ამ შემთხვევებში ჰაერის შეშვება წესრიგდება შესაფერისი სახით.

ამ ახალ გამოგონებაზე, სანამ არ იქნება მოხდენილი ფართე პრაქტიკული ცდები და არ მივიღებთ რაიმე შედეგებს, ვერ ვიმსჯელებთ მის ტეხნიკურ ღირებულებაზე.

მაგრამ თვით იდეა—ერთად მოთავსება ცეცხლისა და წყალის' მათ შორის ყოველგვარ ზღუდის (კედლის) გარეშე, მეტად საინტერესოა.

### რადიო კონტროლი რკინის გზებზე.

ელექტრო—კომპანია ვესტინჰაუზი ახლო მომავალში უშვებს ერთგვარ რადიო აპარატებს, რომელთაც შეეძლებათ ავტომატიურად უხელმძღვანელონ რკინის გზის მოძრაობას.

ამ კომპანიის მთავარ ინჟენერ ალლენის სიტყვით, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს რადიო-კონტროლის დაწესება რომელიმე სადგურიდან ერთი კაცის მეთვალყურეობით.

ასეთ სადგურს შეუძლია: გაუშვას მატარებლები, კონტროლი უყოს ლოკომოტივის სისწრაფეს (ლაპარაკია, რასაკვირველია, ელექტრო მზიდავებზე), შეანელოს მსვლელობა, გააჩეროს მატარებელი, შესცვალოს ისრები და სხვა.

იმავე ინჟინერის სიტყვით ეხლაც მოწყობილია ასეთი რადიო და ავტომატიური ტელეფონი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ბრწყინვალე შედეგებს იძლეოდენ.

რაც შეეხება ისრების გადანაცვლებას რკინის გზებზე, ეს ეხლაც ხდება ზოგიერთ რკინის გზებზე ავტომატიურად, ადამიანის ხელის დაუხმარებლად.

### საუკეთესო დიეტა მსხვილი ნაწლავის ანთების დროს.

რუს ექიმ კაპლანის (ხარკოვი) გამორკვევითა და დაკვირვებით საუკეთესო დიეტას (საჭმლის შერჩევა ავადმყოფობის დროს) მსხვილი ნაწლავის ანთების დროს წარმოადგენს მცენარეულობა; რძის და კვერცხის მიცემა შეიძლება განსაზღვრული რაოდენობით. ყოველგვარი ხორცი, თევზი და ფრინველები გამორიცხული უნდა იქნას დიეტიდან.

მცენარეების ნაყოფის მიცემა შეიძლება, მხოლოდ ძალიან მოხარშული და გაჭყლეტილი სახით.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის სკოლის კომ-უჯრედში ჩვენივე სკოლის ახ. ლ. კ. კავშირის წევრად მიღების შესახებ შემოტანილი აქვთ განცხადება შემდეგ წ. არმიელებს: 1. ტრიფონ ეფრემის-ძე აგლაძეს, რაჭის მაზრა, სორის თემის სოფელ მხლის მცხოვრები, გლეხი, მცირე მცოდნე. 2. ტენტერაშვილი დავით ამბაკოს-ძეს, გორის მაზრა, სოფელ ქვემო-ჭალის მცხოვრები, გლეხი, მცირე მცოდნე, უპარტიო. 3. ალექსანდრე იორდანეს ძე ნებიერიძეს, გორის მაზრა, ცხინვალის თემის, სოფელ კეხვის მცხოვრები, გლეხი, ღარიბი, მცირე მცოდნე. უპარტიო. 4. ივანე ოქროპირის-ძე ბარელაძეს, გლეხი, უპარტიო, შორაპნის მაზრის, პერევის თემი სოფელ პერევისა. 5. ალექსანდრე დიმიტრის-ძე ქლენტს, შორაპნის მაზრა, კლდეეთის თემი, სოფელ კვალითის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო, განათ. ორი კლასი. 6. ნიკოლოზ ლუკას-ძე ყუფარაძეს, შორაპნის მაზრა, ზესტაფონის თემი, სოფელ საქარის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 7. აკაკი ოქროპირის-ძე კურცხალიას, შორაპნის მაზრა, სოფ. ზორვეთის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 8. ბართლომე მიხეილის-ძე ხუხუნაშვილს, ოზურგეთის მაზრა, სოფ. ზემო აკეთის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 9. კალისტრატე მალხაზის-ძე ოქრუაძეს, შორაპნის მაზრა, თერჯოლის თემი, სოფელ ტელეფას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 10. სემლარ ლაზარეს-ძე გედენიძეს, ქუთაისის მაზრა, სოფელ კინჩხას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 11. მიხეილ მარკოზის-ძე ჭანკვეტაძეს, შორაპნის მაზრა, სოფელ საქარას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 12. ანდრია ნიკოლოზის-ძე დევიძეს, შორაპნის მაზრა, თერჯოლის თემი სოფ. თერჯოლას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 13. ვენედიქტე ამბაკოს-ძე ვაშაკიძეს, ქუთაისის მაზრა, დიდი ჯიხაიშის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 14. ბენია კირილეს-ძე ლომაძეს, ოზურგეთის მაზრა, სოფ. ჩიბათი, გლეხი, უპარტიო.

თუ ვინმეს აქვს ზემო აღნიშნულ ამხანაგების შესახებ რაიმე უარყოფითი, გვაცნობეთ ხუთი დღის განმავლობაში, 1-ლ ლეგ. სკოლის კომ-უჯრედში.

მე-6 ლეგიონის მე-11 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება მე-9-რე ასეულის მამსახლის ამხ. გვასალია პარმენ გიორგისძეს, კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ.

გთხოვთ აცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მე-3-მე ათასეულის კომუჯრედს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.